ჰოლივუდის გავლენიანი კინოპროდიუსერი, გაყიდვების აგენტი, დევიდ ლინჩის ფონდის საპატიო წევრი, დევიდ ლინჩის კინო-სკოლის თანადამფუძნებელი ჯოანა პლაფსკი, " ბომონდის" ექსკლუზიური სტუმარია.
საინტერესო ცხოვრების სტილი და საოცარი შინაგანი სამყარო დიდ კვალს ტოვებს ჯოანას წარმატებულ კარიერაზე.

პლაფსკიმ უამრავი ფილმი დააფინანსა, თუმცა, სანამ ამ საქმიანობას შეუდგებოდა, კომპანია „Radiance Films“ დააარსა, რისი მეშვეობითაც მსოფლიოს მასშტაბით დამწყები კინორეჟისორების ფილმებს ყიდდა. როგორც აღნიშნავს, მას არასდროს ჰქონდა შეხება თეატრთან, რადგან მისთვის საზოგადობის ფართო სეგმენტს კინო მოიცავდა.

ჯოანა ისეთი წარმატებული ფილმების აღმასრულებელი პროდიუსერია
როგორიცაა: „Women of Desire“
, „My reincarnation“ , „The Comedian“ და ა.შ.

ფილმის წარმატებულ ბიზნესთან ერთად ტრანსცენდენტული მედიტაცია დიდ ადგილს იკავებს პროდიუსერის ცხოვრებაში. მედიტირებით გატაცებული ჯოანა 6 თვე ინდოეთში ცხოვრობდა, ამასთან, სისტემატურად მოგზაურობდა აზიის სხვადასხვა ქვეყანაში.

ჯოანა 2005 წელს დაარსებული მრავალპროფილური ორგანიზაციის, დევიდ ლინჩის ფონდის წარმომადგენელიც არის. ფონდის ოფისი რამდენიმე ქვეყანაშია გახსნილი, ახლახან ამ ჩამონათვალს საქართველოც შეემატა. ჩვენი სტუმარი საქმიანი ვიზიტით იმყოფება თბილისში და ვრცლად გვესაუბრა თავის პროფესიულ საქმიანობასა და საქართველოსთან დაკავშირებულ გეგმებზე.

- ვინ არის ჯოანა პლაფსკი?

- ჯოანა პლაფსკის უყვარს ადამიანები, ადიდებს სილამაზეს და სულიერ შეგრძნებებს. არაფერია იმაზე უკეთესი, აღმოაჩინო ხელოვანი ადამიანები ჩვენს ეპოქაში. ეს ჩემი მოწოდებაა. ვფიქრობ, ნიჭიერებას არ გააჩნია საზღვრები, ტალანტი მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში ერთი და იგივეა, სწორედ ეს არის ჩემი შთაგონების წყარო - ნიჭიერი ადამიანები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, რომლებიც მინდა გავაცნო სამყაროს. თამამად შემიძლია ვთქვა, ახალი ტალანტების აღმოჩენის შეუქცევადი პროცესი ჩემი ცხოვრების მთავარი მამოძრავებელი ძალაა. ჩემი მოვალეობაა, შინაგანი სილამაზე გამოვიტანო და მოვახდინო რეალური და ირეალური სამყაროს ჰარმონიული შერწყმა, რომელიც სიყვარულისა და მშვიდობის მომგვრელი იქნება თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაში.

დღის ჰოროსკოპი

ჟურნალი "ბომონდი" (http://www.beaumonde.ge/index.php?option=com_content&view=category&

დაგვიკავშირდით

- რა როლს ასრულებს სპირიტუალური სამყარო თქვენს შემოქმედებასა და ცხოვრებაში?

- ძალიან გამიმართლა, როცა კოლეჯში მერი ჟიმანშისთან ერთად გავდიოდი მედიტაციის კურსებს, პარალელურად კინომაც დამაინტერესა და გადავწყვიტე, საფუძვლიანად შემესწავლა ეს დარგი. დიდხანს ვიფიქრე, რა მეკეთებინა, სწორედ მედიტაციამ მიმიყვანა უმაღლეს ამბიციამდე და დამეხმარა კინობიზნესშიც. შესაბამისად, სპირიტუალური სამყაროს როლი ჩემს ცხოვრებაში უდიდესია. მედიტირებას ოჯახის წევრებს, მეგობრებსა და თანამშრომლებსაც კი ვასწავლიდი. დღეს ცხოვრება ისეთი დაძაბული და დამთრგუნველია, საჭიროა განტვირთვა, მედიტაცია კი საუკეთესო საშუალებაა, აღმოაჩინო ჭეშმარიტება და განავითარო საკუთარი შინაგანი სამყარო, ისე, რომ უმაღლეს შეგრძნებამდე მიხვიდე.

- ამბობთ, რომ შესაძლებელია, მედიტაციის საშუალებით პიროვნების ტრანსფორმაცია?

- რა თქმა უნდა, ასი პროცენტით! მედიტაციის დაწყებიდან ადამიანები უმოკლეს პერიოდში აღმოაჩენენ რადიკალურ ცვლილებებს საკუთარ თავში. რამ შეიძლება მოგანიჭოთ ბედნიერება, საუკეთესო წვეულებებზე სიარულმა თუ აქტიურმა ღამის ცხოვრებამ? რა თქმა უნდა, შესაბამის პერიოდში ორივე სასიამოვნო გადაწყვეტილებაა დროის გასატარებლად, მაგრამ ეს არ არის ნამდვილი განტვირთვა. TM მედიტაცია გვაძლევს შესაძლებლობას, რომ ვიგრძნოთ თავი უკეთესად და ვისწავლოთ სიჩუმის მოსმენა.
- საინტერესოდ ჟღერს. ვფიქრობ, დაინტერესდება ჩვენი მკითხველი მედიტაციით...

_ მედიტირებისთვის, პირველ რიგში, აუცილებელია ტექნიკის კარგად ცოდნა. ეს ტექნიკა ათასობით წლის წინ არსებობდა ინდოეთში. ამის შესწავლის შემდეგ აუცილებელია გონებრივი კონცენტრაცია, ფოკუსირება მხოლოდ ერთ წერტილზე და ფიქრებისგან სრული განწმენდა. მედიტირება ნებისმიერ ადგილასაა შესაძლებელი, თვითმფრინავი იქნება ეს თუ სახლი. TM მედიტაცია არ არის დაკავშირებული რელიგიასა და ფილოსოფიასთან, არ საჭიროებს ცხოვრების სტილის შეცვლას. ჩვენ ისედაც უამრავი ტრადიცია დავკარგეთ, ხოლო რომელიც სასარგებლოა და შემოვინახეთ, აუცილებლად უნდა შევინახოთ და გავუფრთხილდეთ.

- კინო ბავშვობიდან გიყვართ. დღესდღეობით არაერთი წარმატებული ფილმის პროდიუსერი ხართ. მიგაჩნიათ, რომ კინობიზნესი თქვენი საოცნებო სფერო იყო?

- ადრეული ასაკიდან მიტაცებდა ხელოვნება, ამიტომ კარგად დავეუფლე მხატვრობას. მას შემდეგ, რაც სასწავლებლად ნიუ-იორკიდან კალიფორნიაში გადავედი, უამრავ ცნობილ პიროვნებას ვხვდებოდი კინობიზნესში. მუდმივად მქონდა კითხვა საკუთარ თავთან, რა უნდა მეკეთებინა მთელი ცხოვრების განმავლობაში. გითხარით, რომ ჩემთვის მთავარი ადამიანია, შეიძლება, სწორედ ამიტომ შევარჩიე კინობიზნესი, ეს ხომ მსოფლიო მასშტაბის კომუნიკაციაა სხვადასხვა რასის, ეროვნებისა და კულტურის ადამიანებთან. მამაჩემი წარმატებულად უძღვებოდა ბიზნესს, ბავშვობიდან ვამჩნევდი, რომ ბიზნესის ალღოც მქონდა. ზუსტად ეს ორმხრივი დაინტერესება გახდა მიზეზი, რომ ჩემი სამყარო და საოცნებო სფერო ხელოვნება და კინობიზნესი გამხდარიყო.

- თქვენი ნამუშევრებიდან რომელ ფილმს გამოარჩევდით?

- ჩემთვის თითოეული პროექტი ღირებული და დასამახსოვრებელია. გამიჭირდება გამორჩევა, თუმცა,
განსაკუთრებულად „ჩემი რეინკარნაცია“ მომწონს, რადგან ფილმში ჩემი ცხოვრებაა ჩადებული. ვაფასებ ჯგუფს, რომელთანაც ვმუშაობ. გაისად ერთ-ერთი პროექტის პრეზენტაცია იგეგმება, რომელშიც დიდ ენერგიასა და რესურსებს ვდებთ. ფილმში დაკავდებიან ბრწყინვალე ჯგუფი და მსახიობები. ვფიქრობ, „ოსკარის“ დონის პროექტი გამოვა.

- მნიშვნელოვანია თქვენთვის ჟანრი, რომელზეც უნდა იმუშაოთ?

- ჟანრი არა, მსახიობი და რეჟისორი ნამდვილად მნიშვნელოვანია. ტეილორ ჰეკფორდი, ერთ-ერთი საყვარელი რეჟისორია, რომელთანაც შარშან ვითანამშრომლე და გადავიღეთ კომედიური დრამა „ჩომედიანს“, სადაც მთავარ როლს ლეგენდარული მსახიობი, რობერტ დე ნირო ასრულებს. ფილმი წარმატებული გამოვიდა.

- როგორია თქვენი, როგორც ფილმის პროდიუსერის, სამუშაო პროცესი?

- ბევრი ადამიანი ვერ ხვდება, რამდენად მნიშვნელოვანია პროდიუსერის როლი ფილმში. ის მთლიანად უნდა ეკუთვნოდეს პროექტს, რომელზეც აპირებს მუშაობას. პროდიუსერის სამუშაო პროცესი ერთდროულად მრავალფეროვანი და დატვირთულიცაა. მთავარი პრინციპი, ფინანსური საკითხების მოგვარებასთან ერთად, შემოქმედებითი ჯგუფის წევრობაც არის. ახალ ფილმზე მუშაობის დაწყებისას აუცილებლად ვხვდებით უამრავ სცენარისტს, რეჟისორს, ბროკერს, პროდიუსერს... ეს შეხვედრები რიტუალივითაა. მას შემდეგ, რაც ფინანსური და კრეატიული საკითხები გადაწყდება, ვატარებთ კასტინგს ახალი ჯგუფისთვის, სადაც ათასობით ადამიანისგან რამდენიმე ათეულს ვირჩევთ. საინტერესოა

მსახიობების შერჩევის პროცესი: პირველ რიგში, რა თქმა უნდა, წინასწარ ვიცით, რომელი მსახიობი უნდა დავაკავოთ კონკრეტულ როლზე. თუმცა აქაც უამრავი დეტალია გასათვალისწინებელი. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფინანსური მხარეა.

მაგალითად, თუ გვსურს, რომ ბრედ პიტი დავამტკიცოთ როლზე, უნდა განვსაზღვროთ მისი შემოსავალი,
რათა შესაბამისი ჰონორარი შევთავაზოთ.

ფილმზე მუშაობა რთული და საინტერესო პროცესია, კარგმა შემოქმედებითმა ჯგუფმა და საერთო სწორმა გადაწყვეტილებებმა, შესაძლებელია, დიდი გავლენა იქონიოს ფილმის ხარისხსა და ბიუჯეტზე.

ენ ლეიბოვიცთან ერთად
კოსტიუმი: GUCCI

- მოდა თქვენს ცხოვრებაზე დიდ გავლენას ახდენს. რას ფიქრობთ ამ ორი მსხვილი ინდუსტრიის, კინოსა და მოდის ურთიერთგავლენაზე?

- როდესაც ფილმს ვუყურებ, პირველ რიგში, გარდერობი მხვდება თვალში. ყოველთვის, თუ ფილმი მაღალხარისხიანია, აუცილებლად მიიპყრობს კოსტიუმები საზოგადოების ყურადღებას. სამოსი ხომ გვეხმარება, ჩავწვდეთ პერსონაჟის ხასიათს. კოსტიუმის დიზაინი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ფილმისთვის. რა თქმა უნდა, ამ საკითხზე ცალკე მუშაობს ადამიანი, რომელსაც კოსტიუმების მხატვარი ჰქვია. ყველა დროის ფილმში გასაოცარია შესაბამისი ეპოქის დამახასიათებელი ტანსაცმელი.
ეპოქათაშორისი ცვლილებები კი შთამბეჭდავია და დიდ ემოციებს აღძრავს ჩემში. დღესდღეობით ფილმს აქვს იმის უპირატესობა, გააცნოს მაყურებელს ახალბედა დიზაინერები და პოპულარიზაცია გაუწიოს მათ შემოქმედებას ან პირიქით - ცნობილი დიზაინერის კოსტიუმმა აქციოს ფილმი დასამახსოვრებელი. სწორედ ეს არის მთავარი გავლენა ამ ორ გენიალურ ინდუსტრიაში. საზოგადოებას ყოველთვის ახსოვს, რა ეცვა მსახიობს მის საყვარელ ფილმში. მოდის ინდუსტრიის გავლენა თითქმის ყველა სახელოვნებო სფეროში გვხვდება. ალბათ ერთ-ერთი მთავარი პოპკულტურაცაა. შემიძლია ქართული ბრენდებიც გავიხსენო, მაგალითად MAჩH&MAჩH-ის ხაზი, რომლის სამოსიც ჩემს კარგ ნაცნობს, ნიჭიერ მომღერალს, ქეთი პერის ეცვა. დარწმუნებული ვარ, დაწერდნენ მსოფლიოს გავლენიანი გამოცემები ამის შესახებ. უამრავი ადამიანიც დაინტერესდებოდა ამ მოდის სახლით. ეს კი სერიოზული პლატფორმაა წარმატებისკენ, რადგან მსოფლიო ვარსკვლავი მისაბაძია საზოგადოებისთვის.

- როგორია თქვენი დამოკიდებულება ცნობილი დიზაინერებისა და მოდის სახლების მიმართ?

- სიგიჟემდე მიყვარს მოდა და სხვადასხვა დიზაინერის შექმნილი სამოსი. ყველაზე შთამაგონებელი მოდის ეპიცენტრი ჩემთვის ლოს-ანჯელესია. რაც შეეხება ბრენდებსა და დიზაინერებს, ალბათ დიდი დრო დამეხარჯება მათ

ჩამოთვლაში. მიყვარს ვალენტინო, რობერტო კავალი, ლუი ვიტონი თავისი განსაკუთრებული მარკეტინგული ხრიკებით. ასევე ვაფასებ ტომ ფორდს, ის, არაჩვეულებრივ დიზაინერთან ერთად, საოცარი კინორეჟისორიცაა. დამწყები დიზაინერების დიდი გულშემატკივარი ვარ, მართლაც არსებობს ახალ თაობაში რაღაც განსაკუთრებული, რაც აღტაცებას იწვევს ჩემში.

- საქმიანი ვიზიტით ხართ ჩამოსული საქართველოში, მნიშვნელოვანი თუ არის დევიდ ლინჩის ფონდი საქართველოში და თუ გაქვთ გეგმები, როგორც ამ ფონდის წარმომადგენელს?

- დევიდ ლინჩის ფონდი უნივერსალური ჯგუფისაგან შედგება. ჩვენი თვითმიზანი ცვლილებებია დადებითისკენ. ვფიქრობ, ფონდი კარგ შედეგამდე გაგვიყვანს თქვენს ქვეყანაში. უამრავი სამომავლო გეგმა მაქვს საქართველოსთან დაკავშირებით:
იგეგმება კინო-სკოლის გახსნა, სოციალური პროექტები, რომელსაც ყველა მალე გაიგებს. კავკასიის ოფისი და მისი პრეზიდენტი, გიგა აგლაძე აქტიურად არიან ჩაბმული გლობალურ პროექტებში. მყუდრო და ლამაზი ქალაქია თბილისი. ბედნიერი ვარ თქვენთან სტუმრობით, რადგან უამრავი საინტერესო ადამიანი გავიცანი, დადებითი ენერგიით დავიმუხტე და აქვე გეტყვით, რომ მალე დავბრუნდები დიდი შემართებითა და უამრავი ახალი იდეით!

ტექსტი - დათა ალექსეევი
სტილი - ივანე ქეშიკაშვილი
ფოტო - გიორგი ჟამერაშვილი

ტეგები:
შარვალი (/index.php/component/tags/tag/21-sharvali)
ჯოანა პლაფსკი, (/index.php/component/tags/tag/1083-joana-plapski)

Like Share Recommend

2

კომენტარის დამატება

სახელი *

აღწერა *

გაგზავნა

კომენტარი, რომელიც შეიცავს უხამსობას, დისკრედიტაციას, შეურაცხყოფას, ძალადობისკენ მოწოდებას, სიძულვილის ენას, კომერციული ხასიათის რეკლამას, წაიშლება საიტის ადმინისტრაციის მიერ.

"BEAUMONDE" MAGAZINE

EXCLUSIVE: JOANA PLAFSKY- MERGES OF REAL AND UNREAL WORLDS

The influential Hollywood film producer, sales agent, honorable member of David Lynch Foundation, co-founder of David Lynch School Joana Plafsky is the exclusive guest of Beaumonde. Interesting life style and amazing inner world leaves a big trace on Joana's successful career.

Plafsky financed many films but before starting this activity, she founded the company "Radiance Films" and sold the films of the beginner film-makers in the whole world. As she mentions she never had any relation with theatre as cinema covered the broad social segment.

Joana is the executive producer of such successful films like "Women of Desire", "My reincarnation", "The Comedian" etc.

In live with the successful movie business Transcendental Meditation also takes a big place in the producer's life. Devoted to Meditation Joana spent 6 months in India and systematically travelled in different Asian countries.

Joana is also a representative of a multi profile organization established in 2005. The office of the foundation was opened in several countries. Georgia was also recently added to this list. Our Guest arrived in Tbilisi with business visit and spoke with us thoroughly about her professional activities and plans in Georgia.

- WHO IS JOANA PLAFSKY?

- Joana Plafsky loves people, glorifies beauty and spiritual perceptions. There is nothing better than discover artists in our epoch. This is my devotion. I think that talent has no limits, talent is the same in any part of the world. This is the source of my inspiration – talented people from different parts of the world, that I want to introduce to the world. I can boldly say that the inconvertible process of discovering new talents is main motive power of my life. My purpose is to take the inner beauty out and make the harmonious merge of real and unreal worlds which will be an inducer of love and peace in lives of everyone of us.

- WHAT ROLE DOES THE SPIRITUAL WORLD IN YOUR CREATIVE WORK AND LIFE?

- I was very lucky when I took meditation courses in the college with Mary Jimenshi, at the same time I was attracted by cinema and decided to thoroughly learn this sphere. I was thinking very long time what to do, and it was meditation took me to the highest ambition and helped me in movie business. Consequently, the role of the spiritual role in my life is quite big. I taught to meditate my family members, friends and coworkers. Life is so hard and frustrating today, you need to rest. Meditation is the best means to discover the truth and develop your inner world in order to reach the highest feeling.

- YOU SAY MEDITATION CAN HELP ONE IN TRANSFORMATION?

- Yes, for one hundred percent! When starting to meditate people can discover radical changes in the shortest period of time. What can make you happy – to go to the best parties or active night life? Of course in a right time both of them are pleasant decisions to spend your time but this is not a real rest. TM meditation gives us possibility to feel better and learn to listen to silence.

- IT SOUNDS INTERESTING. I THINK OUR READER WILL BE INTERESTED IN MEDITATION…

- In order to meditate you need to learn technique first. This technique existed in India thousands of years ago. After learning it mind concentration and focus on one spot is necessary and total liberation from thoughts. Meditation is possible anywhere, in the airplane, at home or wherever. TM meditation is not related to religion or philosophy, it does not require to change a life style. We have already lost so many traditions. And we need to save and nourish the useful ones.

- YOU LOVE CINEMA SINCE YOUR CHILDHOOD. TODAY YOU ARE A PRODUCER OF SEVERAL SUCCESSFUL MOVIES. DO YOU THINK THAT FILM INDUSTRY WAS YOUR DREAM SPHERE?

- I was fascinated by art from my early age, so I learned painting well. Since I've moved from New York to California for study I met very many famous people in movie business. I always had a question to myself, what I was going to do in my life. As I've told you a human is important for me, maybe that's why I chose film business, because this is a worldwide communication between people of different races, nationalities and cultures. My father successfully conducted business, I noticed in my childhood that I had business skills too. This dual interest became a reason that my dream sphere art and movie business became my world.

- WHICH FILM WOULD YOU DISTINGUISH AMONG YOUR WORKS?

- For me each project is significant and memorable. It's difficult to distinguish any but I like "My Reincarnation" because my life is embedded in it. I appreciate the team that I work with. Next year we plan a presentation of one of the projects. We invest big energy and resources in it. A wonderful team and actors will take part in the film. I think it will be an "Oscar" level project.

- IS THE GENRE YOU'LL BE WORKING WITH IMPORTANT FOR YOU?

- Genre no, but actors and a director are really important. Tailor Hackford is one of my favorite film directors whom I worked with last year and we shot a comedy drama "Comedians" where the lead role is played by a legendary actor, Robert De Niro. The film came out to be successful.

- WHAT IS YOUR AS A FILM PRODUCER'S WORKING PROCESS?

- Many people can't understand how important is a producer's role in a film. He should fully belong to the project which he is going to work on. A producer's working process is simultaneously diverse and busy. The main principle beside managing financial issues, is a membership of creative team. When starting to work on a new film we meet with several script-writers, film directors, brokers, producers…These meetings are like a ritual. After resolving financial and creative issues, we run a casting for a new group where we choose about ten people out of thousands. The selecting process of actors is a very interesting process: Of course we know in advance which actor we want to hire on a specific role. But here are also many details to be taken into account. Financial part is one of the most important.

For example if we want to approve Brad Pitt on a role, we have to define his income to offer him the appropriate royalties.

Working on a film is a difficult and interesting process, a good creative team and common right decisions may have a big influence on the quality and budget of the film.

- FASHION PLAYS A BIG ROLE IN YOUR LIFE. WHAT DO YOU THINK ABOUT THE COUNTER INFLUENCE OF THESE TWO BIG INDUSTRIES, MOVIE AND FASHION?

- When I watch a movie, the wardrobe is the first that attracts my attention. When a film is of a high quality the costumes will always attract the public's attention. Because the clothes help us get a sense of a character. Design of a costume is one of the most important aspects of a film. There is a person who is working on this part and he is called a costume designer. In the films of all times there are costumes significant for a consequent epoch and this is amazing. And changes between epochs are very impressive and ignite strong emotions inside of me. Today the movie has an advantage to introduce beginner designers to the world and popularize their art work or in contrary – a costume of a famous designer can make a film memorable. This is the main influence of these brilliant industries. The viewers always remember how was dressed an actor in their favorite film. We can see the influence of fashion industry almost in every sphere of art. Probably this is one of the main pop cultures. I can recall Georgian brands too, for example MACH&MACH clothing line that my very good acquaintance Katy Perry was dressed in. I'm sure the worldly known influential publication would write about it. Probably many people would get interested with this fashion house. And this is a serious platform for success as the world star is exemplary for society.

- WHAT IS YOUR ATTITUDE TOWARDS THE FAMOUS DESIGNERS AND FASHION HOUSES?

- I love fashion like crazy and clothes created by different designers. For me the most impressive epicenter of fashion is Los Angeles. As for the brands and designers it will take me too much time to list all of them. I love Valentino, Roberto Cavalli, Lui Viton with their unique marketing tricks. I also appreciate Tom Ford as a brilliant designer he's a wonderful film director too. I'm a big fan of the beginner designers. There is really something special in a new generation that amazes me so much.

- YOU ARE IN GEORGIA WITH A BUSINESS VISIT, HOW IMPORTANT IS DAVID LYNCH FOUNDATION IN GEORGIA AND DO YOU HAVE PLANS AS A REPRESENTATIVE OF THIS FOUNDATION?

- David Lynch Foundation consists of a universal group. Our main purpose is change from within. I hope that the Foundation will lead to good results in Georgia. I have many future plans related to Georgia. Establishment of a film school, social projects are planned that will be known for everyone soon. Caucasus office and its president Giga Agladze are actively involved in the global projects. Tbilisi is a cozy and nice city. I'm happy to visit you as I met so many interesting people, I've charged with positive energy and I'll tell you that I'll be back soon with big inspiration and many new ideas.

Text: Data Alexeev
Style: Ivane Keshikashvili
Photo: Georgi Zhamerashvili